ოქმი:ო135. 135240323
თარიღი:01/02/2024

მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სხდომის ოქმი №-1

დ. მესტია 31.01. 2024წ

<u>სხდომას ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები:</u> მ. ჯაფარიძე, ზ. ჩართოლანი, ა. რატიანი. ბ. ნაკანი, ბ. კვიციანი, გ. გიგლემიანი, გ. დადვანი, გ. ხვისტანი, დ. გვიჩიანი, დ. ჯაფარიძე, ვ. ჭკადუა, ზ. ჯაფარიძე, ზ. ფალიანი, თ. დადეშქელიანი, ი. გირგვლიანი, ი. რატიანი, ლ. პირველი, ლ. ჩარკვიანი, მ. პაკელიანი,მ. ხორგუანი, შ. რატიანი, მ.გელოვანი, შ. გულედანი, შ. ცინდელიანი, რ. გვარმიანი, კ. გუჯეჯიანი.

<u>სხდომას საპატიო მიზეზით არ ესწრებოდნენ:</u> გ. გელოვანი, ზ. ხარძიანი, ვ. ფილფანი, მ. კვანჭიანი, მ.რატიანი, ლ. ქალდანი, ლ.პაკელიანი,

<u>სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ მოწვეული სტუმრები:</u> მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო სამსახურის მთ. სპეციალისტი ა. უმფრიანი; მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაცის სამსახურის უფროსი ქ. ხარძიანი, მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის, გარემოს დაცვის, კომუნალური და ვეტერინალური ზედამხედველობის განყოფილების უფროსი ნ. მაღედანი.

<u>სხდომას თავმჯდომარეობდა</u> მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე მ. ჯაფარიძე.

<u>სხდომის მდივანი:</u> მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საოქმო განყოფილების მთ. სპეციალისტი მ. ნიგურიანი.

სხდომის დაწყებამდე საკრებულოს წევრებმა გაიარეს რეგისტრაცია, რეგისტრაციის გავლის მიხედვით სხდომას ესწრებოდა საკრებულოს 33 წევრიდან 25 დეპუტატი.

თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს მიესალმა და გააცნო დღის წესრიგი

დღის წესრიგი:

1. „მესტიის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის №28 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

/მომხსენებელი: თ. ნავერიანი. თანამომხსენებელი: რ. გვარმიანი./

2. მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ

/მომხსენებელი: ქ. ხარძიანი. თანამომხსენებელი: შ. ცინდელიანი/
3. მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობისა და მუნიციპალური ინსპექციის სამსახურის დებულების დამტკიცების შესხებ.

/მომხსენებელი: ქ. ხარძიანი. თანამომხსენებელი: შ. ცინდელიანი/
4. ,,მესტიის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში გასაშენებელი მწვანე ნარგავების სახეობებისა და გამწვანების პროექტის შეთანხმების პირობების დამტკიცების შესახებ"მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 29 დეკემბრის №30 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ

/მომხსენებელი: შ. ცინდელიანი თანამომხსენებელი: ბ. ნაკანი/
5. ,,მესტიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საყოფაცხოვრებო ნარჩენების შეგროვების, დასუფთავების მოსაკრებლის შემოღებისა და გადახდის წესის დამტკიცების შესახებ" მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 20 დეკემბრის №41 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

/მომხსენებელი: ნ. მაღედანი. თანამომხსენებელი: ზ. ფალიანი/
6. მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის პირველი კვარტლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი: შ.ცინდელიანი/
7. რეზიდენტი სტუდენტისთვის სარეზიდენტო წლების დაფინანსების თაობაზე მესტიის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ

/მომხსენებელი: ლ. კიკვიძე თანამომხსენებელი: რ. გვარმიანი/
სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს ეყაროს კენჭი ,,მესტიის **მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 31 იანვრის სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ"**. წარმოდგენილი რედაქციით.
მომხრე----------25
წინააღმდეგი------0
თავი შეიკავა-------0
კენჭისყრის შედეგად საკრებულოს წევრებმა მხარი დაუჭირეს ერთხმად.

საკრებულომ დაადგინა: მიიღონ განკარგულება `მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 31 იანვრის სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ".

განკარგულება მიღებულ იქნა

(განკარგულება №გ-135. 135240311 **თან ერთვის)**
მოისმინეს: დღის წესრიგით გათვალისწინებული პირველ საკითხზე მოხსენება გააკეთა ა. უნფრიანმა „მესტიის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის №28 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე
მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საქართველოს მთავრობის განკარგულებით საქართელოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოიყო 7 613 976 ლარი, მესტიის მუნიციპალიტეტში გზებისა და ხიდეების სარეაბილიტაციო სამუშაოების განსახორციელებლად. საქართველოს მთავრობის განკარგულებით 300 234 ლარი ნაგავმზიდი მანქანის შეძენისთვის; საქართველოს მთავრობის განკარგულებით გამოყოფილი იქნა 1 574 00 ლარი სოფლის მხარდაჭერის პროგრამის განსახორციელებლად. ისაუბრა დარჩენილი ნაშთების მიმდინარეობაზე.
სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს განიხილონ აღნიშნული საკითხი და გამოთქვან მათი მოსაზრებები.

აზრი გამოთქვა: რ. გვარმიანმა- კომისიამ განიხილა საკითხი, წარმოდგენილი ბიუჯეტის ცვლილების პროექტში ასახულია მესტიის მუნიციპალიტეტში მიმდინარე და ახალი ინფრასტრუქტურული პროექტების დაფინანსება, ნაშთების გადატანა 2023 წლიდან 2024 წლის ბიუჯეტში და შესაბამისად მათი ასახვა. ძირითადად ასახულია ინფრასტრუქტურულ პროექტებზე, ნაწილი გარდამავალი პროექტებია, ნაწილი ახალი პროექტი.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს კენჭი ეყაროს წარმოდგენილ წინადადებას.

მომხრე ----------25

წინააღმდეგი -----

თავი შეიკავა ----

კენჭისყრის შედეგად დაადგინეს: მიღებული იქნას დადგენილება, „მესტიის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის №28 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მიღებული იქნა დადგენილება:

(დადგენილება №- 1 თან ერთვის)

მოისმინეს: დღის წესრიგით გათვალისწინებული მეორე საკითხზე მოხსენება გააკეთა ქ. ხარძიანმა ,,მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციიდან მიღებული სამართლებრივი შენიშვნებით გამოვლინებულია უზუსტობები, შენიშვნების გათვალისწინებით მოხდა ხარვეზების კორექცია, შემუშავდა ახალი დებულება ახალი რედაქციით.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს განიხილონ აღნიშნული საკითხი და გამოთქვან მათი მოსაზრებები.

აზრი გამოთქვა:

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს კენჭი ეყაროს წარმოდგენილ წინადადებას.

მომხრე ----------25

წინააღმდეგი -----

თავი შეიკავა ----

კენჭისყრის შედეგად დაადგინეს: მიღებული იქნას დადგენილება, ,,მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“

მიღებული იქნა დადგენილება:

(დადგენილება №-2 თან ერთვის)

მოისმინეს: დღის წესრიგით გათვალისწინებული მესამე საკითხზე მოხსენება გააკეთა ქ. ხარძიანმა ,,მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობისა და მუნიციპალური ინსპექციის სამსახურის დებულების დამტკიცების შესხებ“.

მომხსენებელმა გააცნო საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციიდან მიღებული სამართლებრივი შენიშვნები, ხარვეზი კორექტირებულია და წარმოდგენილია ჩასწორებული ვარიანტით.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს განიხილონ აღნიშნული საკითხი და გამოთქვან მათი მოსაზრებები.

აზრი გამოთქვა:

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს კენჭი ეყაროს წარმოდგენილ წინადადებას.

მომხრე ----------25

წინააღმდეგი -----

თავი შეიკავა ----

კენჭისყრის შედეგად დაადგინეს: მიღებული იქნას დადგენილება, ,,მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობისა და მუნიციპალური ინსპექციის სამსახურის დებულების დამტკიცების შესხებ“.

მიღებული იქნა დადგენილება:

(დადგენილება №3 თან ერთვის)

მოისმინეს: დღის წესრიგით გათვალისწინებული მეოთხე საკითხზე მოხსენება გააკეთა შ. ცინდელიანმა ,,მესტიის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში გასაშენებელი მწვანე ნარგავების სახეობებისა და გამწვანების პროექტის შეთანხმების პირობების დამტკიცების შესახებ"მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 29 დეკემბრის №30 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ მთავრობის ადმინისტრაციიდან მიღებულია სამართლებრივი შენიშვნები, კერძოდ დადგენილების პირველ დანართში, რომლითაც განსაზღვრულია მესტიისა და სტეფანწმინდის მუნიციპალიტეტებში გამწვანებაში გამოსაყენებელი მცენარეების ჩამონათვალი.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს განიხილონ აღნიშნული საკითხი და გამოთქვან მათი მოსაზრებები.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს კენჭი ეყაროს წარმოდგენილ წინადადებას.

მომხრე ----------25

წინააღმდეგი -----

თავი შეიკავა ----

კენჭისყრის შედეგად დაადგინეს: მიღებული იქნას განკარგულება, ,,მესტიის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში გასაშენებელი მწვანე ნარგავების სახეობებისა და გამწვანების პროექტის შეთანხმების პირობების დამტკიცების შესახებ"მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 29 დეკემბრის №30 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ

მიღებული იქნა დადგენილება:

(დადგენილება № 4 თან ერთვის)

მოისმინეს: დღის წესრიგით გათვალისწინებული მეხუთე საკითხზე მოხსენება გააკეთა ნ. მაღედანმა ,,მესტიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საყოფაცხოვრებო ნარჩენების შეგროვების, დასუფთავების მოსაკრებლის შემოღებისა და გადახდის წესის დამტკიცების შესახებ" მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 20 დეკემბრის №41 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხსენებელმა ისაუბრა დადგენილების ცვლილებაზე, შეიცვალა მოსაკრებელი ბაზრებისა და სავაჭრო ცენტრების ტიპის ობიექტებზე, მარკეტინგულ და არამარკეტინგულ ქსელებზე, აფთიაქებზე შიდა ფართის მიხედვით, ექსპლუატაციაში შესული ჰიდროელექტრო სადგურებზე შენობა-ნაგებობის ფართის მიხედვით.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს განიხილონ აღნიშნული საკითხი და გამოთქვან მათი მოსაზრებები.

აზრი გამოთქვა:- გ. დადვანმა- იკითხა მოსაკრებლის მომატების პრონციპი.

ნ. მაღედანი--მომსახურეობის მიხედვით ხდება მოსაკრებლის მომატება.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს კენჭი ეყაროს წარმოდგენილ წინადადებას.

მომხრე ----------24

წინააღმდეგი -----

თავი შეიკავა ----

კენჭისყრის შედეგად დაადგინეს: მიღებული იქნას განკარგულება, ,,მესტიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საყოფაცხოვრებო ნარჩენების შეგროვების, დასუფთავების მოსაკრებლის შემოღებისა და გადახდის წესის დამტკიცების შესახებ" მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 20 დეკემბრის №41 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მიღებული იქნა დადგენილება:

(დადგენილება №-5 თან ერთვის)

მოისმინეს: დღის წესრიგით გათვალისწინებული მეექვსე საკითხზე მოხსენება გააკეთა შ. ცინდელიანმა ,,მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის პირველი კვარტლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ".

მომხსენებელმა გააცნო სამუშაო გეგმა საკრებულოს კომისიების თავმჯდომარეების მიერ მოწოდებული, საკრებულოს წევრებს მოუწოდა აქტიურად ჩაერთონ კომისიების მუშაობაში.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს აქტიურად ჩართულიყვნენ საკრებულოს მუშაობაში.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს კენჭი ეყაროს წარმოდგენილ წინადადებას.

მომხრე ----------24

წინააღმდეგი -----

თავი შეიკავა ----

კენჭისყრის შედეგად დაადგინეს: მიღებული იქნას დადგენილება, ,,მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის პირველი კვარტლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ“.

მიღებული იქნა განკარგულება:

(განკარგულება №გ-135. 135240312 **თან ერთვის)**

მოისმინეს: დღის წესრიგით გათვალისწინებული მეშვიდე საკითხზე მოხსენება გააკეთა ლ. კიკვიძემ ,,რეზიდენტი სტუდენტისთვის სარეზიდენტო წლების დაფინანსების თაობაზე მესტიის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“.

მომხსენებელმა განმარტა, რომ რეზიდენტ სტუდენტთან გაფორმებულია ხელშეკრულება, რომელიც მას ავალდებულებს სწავლის დამთავრების შემდეგ მუნიციპალიტეტში მუშაობას.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს განიხილონ აღნიშნული საკითხი და გამოთქვან მათი მოსაზრებები.

აზრი გამოთქვა: ზ. ჩართოლანმა-- სამსახურის წარმომადგენელს წინადადებით მიმართა, რომ სტუდენტურ დაფინანსების პროგრამას დაემატოს რეზიდენტი სტუდენტების დაფინანსება.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს კენჭი ეყაროს წარმოდგენილ წინადადებას.

მომხრე ----------24

წინააღმდეგი -----

თავი შეიკავა ----

კენჭისყრის შედეგად დაადგინეს: მიღებული იქნას დადგენილება, ,,რეზიდენტი სტუდენტისთვის სარეზიდენტო წლების დაფინანსების თაობაზე მესტიის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“.

მიღებული იქნა განკარგულება:

(განკარგულება №გ-135. 135240313 **თან ერთვის)**

სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხი განხილული იქნა.

სხდომა გამოცხადდა დახურულად.

მაიზერ ჯაფარიძე

მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი